

171
1944

F

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისარიატის ბრძა-
ნებითა და განაკარგულებათა

პ რ ე ბ უ ლ ი

წელიწადი მეშვიდე

№ 9	Сборник приказов и распоряжений НКПроса Грузинской ССР	1944 წ.
-----	---	---------

1. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მე-4, მე-7 და მე-10 კლასების საგამოცდო ბილეთების შესახებ.
2. ს ა გ ა მ ო ც დ ო ბ ი ლ ე თ ე ბ ი დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლე-
ბის მე-4 კლასებისათვის.
3. ს ა გ ა მ ო ც დ ო ბ ი ლ ე თ ე ბ ი ქართულ ენაში.
4. ს ა გ ა მ ო ც დ ო ბ ი ლ ე თ ე ბ ი რუსულ ენაში.
5. ს ა გ ა მ ო ც დ ო ბ ი ლ ე თ ე ბ ი არითმეტიკაში.
6. ს ა გ ა მ ო ც დ ო ბ ი ლ ე თ ე ბ ი სსრ კავშირის ისტორიაში.
7. ს ა გ ა მ ო ც დ ო ბ ი ლ ე თ ე ბ ი გეოგრაფიაში.
8. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა — მოსწავლეთა რესპუბლიკური დაუსწრებელ მეცნიერულ კონფე-
რენციის ჩატარების შესახებ.

ბრძანება № 127.

1945 წ. 28 იანვარი.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი.

1. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი საგამოცდო ბილეთები მე-4, მე-7 და მე-10 კლასებისათვის ქართულ ენაში, ქართულ ლიტერატურაში, რუსულ ენასა და რუსულ ლიტერატურაში, სსრ კავშირის, შუა საუკუნეებისა და საქართველოს ისტორიებში, მათემატიკურ დისციპლინებში—არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში, ფიზიკაში, ქიმიაში, გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში,—დამტკიცდეს.

2. სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები უცხო ენებში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) მე-10 კლასებში მიმდინარე 1944-45 სასწავლო წელში ჩატარდეს ბილეთების გარეშე, სკოლაში ფაქტიურად გავლილი კურსის ზეპირად გამოკითხვას საფუძველზე.

3. დაევალოს რაიონისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს ა/წ. 20 თებერვლამდე:

ა) გააცნონ ბილეთები დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგეებს) და სასწავლო ნაწილის გამგეებს;


ბ) ამავე ვადებში უზრუნველყონ ბილეთების განხილვა ცალკე სასწავლო დისციპლინების მასწავლებელთა მეთოდურ თათბირებზე.

4. დაევალოს დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგეებს):

ა) ა. წ. თებერვლის ბოლომდე პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე განხილონ საკითხი გამოცდებისათვის მზადების შესახებ და დასახონ ღონისძიებანი, რათა სასწავლო მასალის გამოკრების საქმე მთლიანად იქნეს შეფარდებული დამტკიცებულ საგამოცდო ბილეთებთან;

ბ) ამავე ვადებში უზრუნველყონ საგამოცდო ბილეთების ზუსტად ვაცნობა მოსწავლეთათვის.

5. საგამოცდო ბილეთებში რაიმე ცვლილებების შეტანა აკრძალულ იქნეს.





ვაშტიკიებ.
 საქართველოს სსრ განათლების
 სახალხო კომისარი ვ. კუპრაძე.
 1945 წ. 20 იანვარი.

**საგამოცდო ბილეთები დაწყებითი, შვიდწლიანი და
 საშუალო სკოლების IV კლასებისათვის**

**საგამოცდო ბილეთები ქართულ ენაში
 განმარტება**

ქართული ენის გრამატიკით გათვალისწინებულ საკითხებზე პასუხის გაცე-
 მისას მოწაფეს მოეთხოვება სათანადო მაგალითების დასახელება და გარჩევა.
 მაგალითად, კითხვაზე — რიცხვითი სახელი (ბილეთი № 8) — მოწაფემ უნდა
 დაასახელოს მაგალითი და განმარტოს — რას ეწოდება რიცხვითი სახელი და
 რამდენჯერაა იგი.

ბილეთი № 1.

1. ი. ჭავჭავაძის „ნიკოლოზ გოსტაშებიშვილი“ — შინაარსის თხრობა.
2. გრ. ორბელიანის ლექსი „სხვა საქართველო სად არის“ — შე-
 ბირად.
3. თანხმოდანდაჯგუფებული სიტყვების დამარცვლა და გადატანა.

ბილეთი № 2.

1. ე. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“ — შინაარსის თხრობა.
2. რ. ერისთავის ლექსი „ქოროლი“ — შეპირად.
3. არსებითი სახელის ბრუნება მხოლოობით რიცხვში.

ბილეთი № 3.

1. რ. ქორქიას „მარილის აკვანში“ — შინაარსის თხრობა.
2. რ. ერისთავის ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ — შეპირად.
3. ძახილის წინადადება.

ბილეთი № 4.

1. დ. მეგრელის „ქინაქანა“ — შინაარსის თხრობა.
2. ხალხური ლექსი „კახეთს“ — შეპირად.
3. კითხვითი წინადადება.

ბილეთი № 5.

1. ს. მგალობლიშვილის „ყაყიტას ქურდი“ — შინაარსის თხრობა.
2. გრ. ორბელიანის ლექსი „თამარის დროშა“ — შეპირად.
3. თხრობითი წინადადება.

ბილეთი № 6.

1. „მამულისათვის თავგანწირულნი“—შინაარსის თხრობა.
2. გ. ტაბიძის ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“ — ზეპირად.
3. არსებითი სახელის ბრუნება მრავლობით რიცხვში.

ბილეთი № 7.

1. სულხან-საბა ორბელიანის „აქლემი და ვირი“ — შინაარსის თხრობა, ამ იგავ-არაკის დედააზრი.
2. ვ. ჰიუგოს ლექსი „ბარიკადებზე“ — ზეპირად.
3. ზედსართავი სახელი.

ბილეთი № 8.

1. დ. კასრაძის „დამსახურებული ამბორი“—შინაარსის თხრობა.
2. ვაჟა-ფშაველას ლექსი „პაპიჩემის ანდერძი“—ზეპირად.
3. რიცხვითი სახელი.

ბილეთი № 9.

1. ნ. ლომოურის „ქაჯანა“ — შინაარსის თხრობა.
2. დ. გურამიშვილის ლექსი „სწავლა მოსწავლეთა“ — ზეპირად.
3. მარტივი გაუფრცობილი წინადადება.

ბილეთი № 10.

1. ი. გოგებაშვილის „იოთამ ზედგინიძე“ — შინაარსის თხრობა.
2. გ. ქუჩიშვილის ლექსი „ძველი და ახალი კოლხიდა“—ზეპირად.
3. მარტივი გავრცობილი წინადადება.

ბილეთი № 11.

1. ი. ევდოშვილის „უბედური ქორბუდა“—შინაარსის თხრობა.
2. ი. კრილოვის „მაიმუნი და სარკე“ — ზეპირად; ამ იგავ-არაკის დედააზრი.
3. ნაცვალსახელი.

ბილეთი № 12.

1. ვაჟა-ფშაველას „სათავური“—შინაარსის თხრობა.
2. ს. ჩიქოვანის ლექსი „ბელადის სურათზე“—ზეპირად.
3. ზმნის გარჩევა პირის ნიშნების მიხედვით.

ბილეთი № 13.



1. ი. გოგებაშვილის „ერეკლე მეფე და სწილო ქალი“—შინაარსის თხრობა.

2. შ. მღვიმელის ლექსი „ზამთარი“—ზეპირად.

3. ზმნის გარჩევა დროს მიხედვით.

ბილეთი № 14.

1. ი. გოგებაშვილის „იენანამ რა ქმნა“—შინაარსის თხრობა.

2. ვაჟა-ფშაველას ლექსი „შემოდგომა“—ზეპირად.

3. ზმნის გარჩევა რიცხვის მიხედვით.

ბილეთი № 15.

1. ვაჟა-ფშაველას „მოგონება“—შინაარსის თხრობა.

2. ა. წერეთლის ლექსი „ნათელას სიმღერა“—ზეპირად.

3. არსებითი სახელის დაჯგუფება ვინ და რა კითხვების მიხედვით.

ბილეთი № 16.

1. თ. რაზიკაშვილის „ფითრი“—შინაარსის თხრობა.

2. ი. გრიშაშვილის ლექსი „ორი სიტყვა“—ზეპირად.

3. არასრული წინადადება.

ბილეთი № 17.

1. რ. ქორქიას „შავარდენი“—შინაარსის თხრობა.

2. რ. ერისთავის ლექსი „გუთანი“—ზეპირად.

3. სასვენი ნიშნების დასმა რამდენიმე ქვემდებარე წინადადებაში.

ბილეთი № 18.

1. ა. ყაზბეგის „ჯიხვთა ჭიდილი“—შინაარსის თხრობა.

2. ი. კრილოვის „ლომი და კოლო“—ზეპირად; ამ იგავ-არაკის დედაზრი.

3. სასვენი ნიშნების დასმა რამდენიმე შემასმენლიან წინადადებაში.

ბილეთი № 19.

1. შ. არაგვისპირელის „ჩემო შვინდავ“—შინაარსის თხრობა.

2. ი. ჭავჭავაძის ლექსი „გაზაფხული“—ზეპირად.

3. მარტივი წინადადება.

ბილეთი № 20.

1. ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი“—შინაარსის თხრობა.

2. ა. მაშაშვილის ლექსი „გაზაფხული“—ზეპირად.

3. ზმნის ფუძე, თავსართი და ბოლოსართი.

ბილეთი № 21.



1. „გიორგი სააკაძე“—შინაარსის თხრობა.
2. ა. მაშაშვილის ლექსი „სამშობლო ბელადისა“—ზეპირად.
3. წინადადება.

ბილეთი № 22.

1. ვაჟა-ფშაველას „ჩხიკეთა ქორწილი“—შინაარსის თხრობა.
2. ხალხური ლექსი „სალამი, ჩემო სამშობლოც“—ზეპირად.
3. მარტივი და რთული სიტყვები.

ბილეთი № 23.

1. ი. ევდოშვილის „ჩვენი ნიშა“—შინაარსის თხრობა.
2. ხალხური ლექსი „საბრალო დედაბრისასა“—ზეპირად.
3. ბგერა და ასო. ხმოვანი და თანხმოვანი ბგერები.

ბილეთი № 24.

1. „თამარ მეფე“—შინაარსის თხრობა.
2. რ. ერისთავის ლექსი „ჩანჩქერი“—ზეპირად.
3. ზმნა.

ბილეთი № 25.

1. ე. გაბაშვილის „ღვინია გადაიჩეხა“—შინაარსის თხრობა.
2. ა. წერეთლის ლექსი „ქართველი ქალი“—ზეპირად.
3. არსებითი სახელი.

БИЛЕТЫ ДЛЯ ИСПЫТАНИЙ ПО РУССКОМУ ЯЗЫКУ (ДЛЯ
НЕРУССКИХ ШКОЛ)

БИЛЕТ № 1.

1. «Каштанка» — рассказать.
2. Стихотворение «Голодная птичка» — наизусть.
3. Поставить вопросы к словам в предложении: Птичка подлетела к окну.

БИЛЕТ № 2.

1. «В лагере» — рассказать.
2. Стихотворение «Праздник Сентября» — наизусть.
3. Назвать слова с Б знаком на конце.

БИЛЕТ № 3.

1. «Петя Сомов» — рассказать.
2. Стихотворение «Мой сад» — наизусть.
3. Назвать слова с Б знаком в середине.

БИЛЕТ № 4.



1. «Снова в школе» — рассказать.
2. Стихотворение «Первая ласточка» — наизусть.
3. Какого рода слова: школа, дом, окно.

БИЛЕТ № 5.

1. «Умный Белячок» — рассказать.
2. Стихотворение «Зима» — Сурикова — наизусть.
3. Составить предложение из слов: хозяина, Белячок, спас, умный.

БИЛЕТ № 6.

1. «В декабре» — рассказать.
2. Стихотворение «Помни» — наизусть.
3. Назвать слова с буквой **Ы**.

БИЛЕТ № 7.

1. «Счастливое детство» — рассказать.
2. Стихотворение «Красная Армия» — наизусть.
3. Составить парные слова: карандаш, ручка, перо. Мой, моя, моё.

БИЛЕТ № 8.

1. «Наш сад» — рассказать.
2. Стихотворение «Спасибо, родная страна» — наизусть.
3. Поставить во множественном числе слова: яблоко, груша, слива.

БИЛЕТ № 9.

1. «Арчил и его ослик» — рассказать.
2. Стихотворение «Весна идёт» — наизусть.
3. Дом большой, а школа? . . . а дерево? . . .

БИЛЕТ № 10.

1. «Всякой вещи своё место» — рассказать.
2. Стихотворение «Помни» — наизусть.
3. Я собираю, ты . . . , он . . . , мы . . . , вы . . . , они . . .

БИЛЕТ № 11.

1. «Клад» — рассказать.
2. Стихотворение «В школу» — наизусть.
3. Дать слова с буквой **Ю**.

БИЛЕТ № 12.



1. «Чапаев» — рассказать.
2. Стихотворение «Красная Армия» — наизусть.
3. Поставить вопросы к словам в предложении: Чапаев бросился в реку.

БИЛЕТ № 13.

1. «Письмо из колхоза» — рассказать.
2. Стихотворение «Птичка» Пушкина — наизусть.
3. Найти слова — предметы: птичка, домик, строит.

БИЛЕТ № 14.

1. «Соловей» — рассказать.
2. Стихотворение «Спасибо, родная страна» — наизусть.
3. Дать слова с буквой Я.

БИЛЕТ № 15.

1. «В Тбилиси» — рассказать.
2. Стихотворение «Первая ласточка» — наизусть.
3. Разделить на слоги слова: вагон, мама, Тбилиси.

БИЛЕТ № 16.

1. «Учёный скворец» — рассказать.
2. Стихотворение «Птичка» — наизусть.
3. Назвать предмет и действие из предложения: «Мальчик спрятал скворца в кармане.»

БИЛЕТ № 17.

1. «В город» — рассказать.
2. Стихотворение «Май» — наизусть.
3. Указать в предложении слова предметы: Мама везла тебе масла, сыру, яиц.

БИЛЕТ № 18.

1. «Как Миша спас поезд» — рассказать.
2. Стихотворение «Родная улица» — наизусть.
3. Составить предложение из слов: заметил, Мишу, машинист, пионера.

БИЛЕТ № 19.

1. «Ленин в детстве» — рассказать.
2. Стихотворение «Праздник Октября» — наизусть.
3. Мать читает, я . . . , ты . . . , он . . . , мы . . . , Вы . . . , они . . .

БИЛЕТ № 20.

1. «Пчёлки» — рассказать.
2. Стихотворение «Песня перелётных птиц» — наизусть.
3. Составить предложения из слов: Мой, моя, моё, летает, стоит, упало, стол, птичка, яблоко.

БИЛЕТ № 21.

1. «Пчёлки» — рассказать.
2. Стихотворение «Май» Ивенсона — наизусть.
3. Снег белый, бумага . . . , молоко . . .

БИЛЕТ № 22.

1. «Хитрая лиса» — рассказать.
2. Стихотворение «Весна идёт» — наизусть.
3. Поставить вопросы к словам в предложении: Хитрая лиса лежала на дороге.

БИЛЕТ № 23.

1. «Четыре желания» Ушинского — рассказать.
2. Стихотворение «Осень» — наизусть.
3. Составить предложение из слов: уроки, ученик, прилежный, готовит.

БИЛЕТ № 24.

1. «Четыре желания» Ушинского — рассказать.
2. Стихотворение «Ёлочка» — наизусть.
3. Ёлочка зелёная, а лист . . . , яблоко . . .

БИЛЕТ № 25.

1. «Весною» — рассказать.
2. Стихотворение «Родная улица» — наизусть.
3. Поставить вопросы к словам в предложении: пионеры послали подарки бойцам.



ბანმარტება

ბილეთებში, ამოცანებისა და მაგალითების ნაცვლად, მიითვებულობ მათი შინაარსის შესახებ. ამის მიხედვით მაგალითებსა და ამოცანებს ადგენს საგნის მსწავლებელი და ამტკიცებს საგამოდო კომისია. ეს დამატებითი მასალაც ბილეთებად უნდა განაწილდეს, დაინომროს ბილეთების ნომრების შესაბამისად და მიეცეს მოსწავლეს მხოლოდ გამოცდაზე, მის მიერ აღებული ბილეთის ნომრის მიხედვით.

მაგალითად, № 8 ბილეთში, რომელშიც შედის საკითხები:

„1. მრავალნიშნა რიცხვის ორნიშნა რიცხვზე ნაშთიანი გაყოფა (მაგალითზე ჩვენებით);

2. ამოცანა პროპორციულ გაყოფაზე;

3. მაგალითი უცნობი საკვლების გამოანგარიშებაზე.“

პირველ საკითხზე დამატებით ბილეთში არაფერი იწერება; მოსწავლე ვალდებულია მოიყვანოს საჭირო მაგალითი და შესასრულოს გაყოფა სათანადო ახსნა-განმარტებით. დანარჩენ საკითხებზე მასწავლებელი ადგენს მაგალითებს, რომელთა ამოხსნა ეკისრება მოსწავლეს ამ ბილეთით. ეს დამატებითი ბილეთი ასე იწერება:

№ 8

1. ამოხსენით ამოცანა:

ორმა მუშამ განსაზღვრული სამუშაოს შესრულებისათვის 480 მან. მიიღო. რამდენი ერგება თითოეულ მათგანს, თუ მათი დღიური ხელფასი ერთნაირია და პირველმა იმუშავა 7 დღე, ხოლო მეორემ 5 დღე?

2. გამოიანგარიშეთ საკვლები:

$$1223 - X = 254.$$

ამგვარადვე უნდა შესდგეს დამატებითი ბილეთები დანარჩენი ბილეთების იმ საკითხებისათვის, რომლებიც მოითხოვენ მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნას.

ბილეთი № 1.

1. რიცხვის წაკითხვის წესი; კლასები და თანრიგები.
2. მარტივი ამოცანა მოცემული ნაწილით რიცხვის პოვნაზე.
3. რიცხვების ზეპირი გამრავლება 25-ზე.

ბილეთი № 2.

1. მრავალნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გამრავლება (მაგალითზე ჩვენებით).
2. ორი რიცხვის ჯამსა და შესაკრებებს შორის დამოკიდებულება; შეკრების გადანაცვლებისა და ჯუფთებადობის კანონები.
3. მარტივი ამოცანა ორი რიცხვის პოვნაზე მათი ჯამითა და ჯერადი შეფარდებით.

ბილეთი № 3.

1. მრავალნიშნა რიცხვის მრავალნიშნა რიცხვზე გამრავლება (მაგალითზე ჩვენებით).
2. დამოკიდებულება საკლებსა, მაკლებსა და სხვაობას შორის.
3. მარტივი ამოცანა ორი რიცხვის პოვნაზე მათი სხვაობითა და ჯერადი შეფარდებით.

ბილეთი № 4.

1. მრავალნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გაყოფა (მაგალითზე ჩვენებით).
2. დამოკიდებულება სამრავლსა, მამრავლსა და ნამრავლს შორის.
3. მარტივი ამოცანა ორი რიცხვის პოვნაზე მათი ჯამითა და სხვაობით.

ბილეთი № 5.

1. მრავალნიშნა რიცხვის მრავალნიშნა რიცხვზე გაყოფა (მაგალითზე ჩვენებით).
2. მაგალითი რიცხვის პოვნაზე მოცემული ნაწილით.
3. დამოკიდებულება გასაყოფსა, გამყოფსა და განაყოფს შორის (მაგალითზე ჩვენებით).

ბილეთი № 6.

1. მრავალნიშნა რიცხვის ნაშთიანი გაყოფა, როდესაც გასაყოფი და გამყოფი ნულებითაა დაბოლოვებული (მაგალითზე ჩვენებით).
2. მაგალითი რიცხვის რამდენიმე ნაწილის პოვნაზე.
3. მაგალითი უცნობი მაკლების გამოანგარიშებაზე.

ბილეთი № 7.

1. სახელდებული რიცხვების გამრავლება და გაყოფა (მაგალითზე ჩვენებით).

2. ამოცანა შეზვედრაზე, როცა მგზავრები ერთდროულად გასაღიან.
3. ორნიშნა რიცხვის 11-ზე ზეპირად გამრავლება.

ბილეთი № 8.

1. მრავალნიშნა რიცხვის ორნიშნა რიცხვზე ნაშთიანი გაყოფა (მაგალითზე ჩვენებით); შემოწმება გამრავლებით.
2. ამოცანა პროპორციულ გაყოფაზე.
3. მაგალითი უცნობი საკლების გამოანგარიშებაზე.

ბილეთი № 9.

1. მოქმედებათა შესრულების თანმიმდევრობა; როცა ეს თანმიმდევრობა არ არის ფრჩხილებით ნაჩვენები; ფრჩხილების დანიშნულება (მაგალითზე ჩვენებით).
2. კუბის აღწერა; კუბის მოცულობის გამოანგარიშების წესი. თანაფარდობანი კუბურ ერთეულებს შორის. კუბის დახაზვა.
3. მაგალითი უცნობი გასაყოფის გამოანგარიშებაზე.

ბილეთი № 10.

1. მარტივი და შედგენილი რიცხვის განსაზღვრა. 2-ზე და 3-ზე რიცხვების გაყოფადობის ნიშნები. შედგენილი რიცხვის მარტივ თანამამრავლებად დაშლის წესი (მაგალითზე ჩვენებით).
3. მართკუთხა პარალელებიპედის აღწერა; მართკუთხა პარალელებიპედის მოცულობის გამოანგარიშების წესი; კუბური ერთეულის განსაზღვრა; მართკუთხა პარალელებიპედის დახაზვა.
3. მაგალითი უცნობი გამყოფის გამოანგარიშებაზე.

ბილეთი № 11.

1. მარტივი და შედგენილი რიცხვების განსაზღვრა. 5-ზე და 9-ზე რიცხვების გაყოფადობის ნიშნები; შედგენილი რიცხვის მარტივ თანამამრავლებად დაშლის წესი (მაგალითზე ჩვენებით).
2. კუბისა და მართკუთხა პარალელებიპედის განაშლის დახაზვა; მათი პირეულის გამოანგარიშების წესი. თანაფარდობანი კვადრატულ ერთეულებს შორის.
3. მაგალითი სხვაობის ცვლაზე საკლების ცვლასთან დაკავშირებით.

ბილეთი № 12.

1. თანამარტივი რიცხვების განსაზღვრა; რიცხვებს საერთო გამყოფები და საერთო უდიდესი გამყოფი; საერთო უდიდესი გამყოფის პოვნის წესი (მარტივ თანამამრავლებად დაშლით).
2. კვადრატისა და მართკუთხედის განსაზღვრა და დახაზვა; მათი ფართობის გამოანგარიშების წესი; თანაფარდობანი კვადრატულ ერთეულებს შორის.
3. მაგალითი ნამრავლის ცვლაზე სამრავლის ცვლასთან დაკავშირებით.

ბილეთი № 13.

1. რიცხვების საერთო ჯერადები და საერთო უმცირესი ჯერადი; საერთო უმცირესი ჯერადის პოვნის წესი (მარტივ თანამამრავლებად დაშლით).
2. არი და ჰექტარი; მათ შორის თანაფარდობა. მოცემული ფართობით კვადრატის გვერდის გამოანგარიშება, მოცემული ფართობით და სიგრძით მართკუთხედის სიგანის გამოანგარიშება.
3. მაგალითები არატაბულურ გამრავლებაზე (ზეპირად).

ბილეთი № 14.

1. წილადის განსაზღვრა; მრიცხველი და მნიშვნელი; წილადის ძირითადი თვისება; წილადის შეკვეცა (მაგალითზე ჩვენებით).
2. სიგრძის, წონისა და ღრობის ერთეულები.
3. მაგალითი ჯამის ცვლაზე შესაკრებთა ცვლასთან დაკავშირებით.

ბილეთი № 15.

1. წილადების გაერთიანების განხორციელება; წილადების სიდიდეთა შედარება (მაგალითზე ჩვენებით).
2. ამოცანა მარტივ საშთა წესზე (ერთეულზე დაყვანით).
3. დამოკიდებულებანი საკლებსა, მაკლებსა და სხვაობას შორის. მაგალითი მაკლების გამოანგარიშებაზე.

ბილეთი № 16.

1. ჩვეულებრივი წილადებისა და შერეული რიცხვების შეკრება და გამოკლება (მაგალითზე ჩვენებით).
2. ამოცანა რიცხვის პოვნაზე მათი ჯამისა და სხვაობის საშუალებით.
3. ამოცანა პროპორციულ ნაწილებზე.



ბილეთი № 17.

1. ათწილადების წაკითხვა და ჩაწერა.
2. ამოცანა დაშვებაზე და მონაცემთა გატოლებაზე.
3. მაგალითი ჩვეულებრივი წილადების გამოკლებაზე.

ბილეთი № 18.

1. მრავალნიშნა რიცხვის მრავალნიშნა რიცხვზე გამრავლება, როდესაც სამრავლო ნულებითაა დაბოლოებული, მამრავლი კი შეიცავს ნულებს (მაგალითზე ჩვენებით).
2. პროცენტის ცნება; სრულ ასეულებში წარმოდგენილი რიცხვის რამდენიმე პროცენტის პოვნა.
3. მაგალითი ჩვეულებრივი წილადების შეკრება და გამოკლებაზე (ზეპირად ჭაერთმნიშვნელიანების შემთხვევა).

ბილეთი № 19.

1. 4-ზე და 25-ზე რიცხვების გაყოფადობის ნიშნები; წილადის ძირითადი თვისება.
2. ჯამისა და ნამრავლის გამრავლებისა და გაყოფის წესი.
3. მაგალითი უცნობი გაყოფის პოვნაზე.

ბილეთი № 20.

1. მრავალნიშნა რიცხვის ორნიშნა რიცხვზე ნაშთიანი გაყოფა; გაყოფის შემთწმება გამრავლებით (მაგალითზე ჩვენებით).
2. მარტივი ამოცანა დაშვებაზე და მონაცემთა გატოლებაზე.
3. ორნიშნა რიცხვის 9-ზე ზეპირად გამრავლება.

ბილეთი № 21.

1. მოქმედებათა შესრულების თანმიმდევრობა, როცა ეს თანმიმდევრობა არ არის ფრჩხილებით ნაჩვენები; ფრჩხილების დანიშნულება; უფრჩხილო მაგალითის ამოხსნა ოთხივე მოქმედებაზე (მაგალითზე ჩვენებით).
2. შედგენილი სახელდებული რიცხვების შეკრება და გამოკლება.
3. მაგალითი ჩვეულებრივი წილადების შეკრება და გამოკლებაზე.

ბილეთი № 22.

1. მრავალნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გაყოფა (მაგალითზე ჩვენებით).
2. მართკუთხა პარალელებიპედის აღწერა. მისი მოცულობის გამოანგარიშების წესი. მართკუთხა პარალელებიპედის დახაზვა.
3. ამოცანა ორი რიცხვის პოვნაზე მათი სხვაობითა და ჯერადი შეფარდებით.



ბილეთი № 23.

1. სივრცის, წონისა და დროის საზომი ერთეულები.
2. მრავალნიშნა რიცხვის წაკითხვის წესი; კლასები, თანრიგები.
3. ამოცანა ორი რიცხვის პოვნაზე მათი ჯამითა და ჯერადი შეფარდებით.

ბილეთი № 24.

1. ნულებით დაბოლოებული მრავალნიშნა რიცხვების გამრავლები (მაგალითზე ჩვენებით).
2. მაგალითი წილადების გაერთმნიშვნელობაზე.
3. მაგალითი განაყოფის ცვლაზე გასაყოფისა და გამყოფის ცვლასთან დაკავშირებით.

ბილეთი № 25.

1. სახელდებულ რიცხვები. მარტივი და შედგენილი სახელდებულ რიცხვები. სახელდებულ რიცხვების დაშლა და გადაქცევა (მაგალითზე ჩვენებით).
2. ამოცანა ორი რიცხვის პოვნაზე მათი ჯამითა და სხვაობით.
3. მაგალითი ჩვეულებრივ წილადების შეკრება და გამოკლებაზე.

**საგამოცდო ბილეთები სსრ კავშირის ისტორიაში
მე-4 კლასებისათვის**

ბილეთი № 1.

1. პეტრე I ომი შვედებთან, ნარვასთან ბრძოლა, ფლოტის აგება, პეტერბურგის დაარსება, შვედების განადგურება პოლტავისთან.
2. როდის და სად დაიბადა სტალინი.

ბილეთი № 2.

1. გლეხთა ომი ეკატერინე II დროს. ურალის ყაზახების აჯანყება 1773 წელს. მათი ხელმძღვანელი ემელიანე პუგაჩოვი. პუგაჩოვის დამარცხება ცარიცინთან და მისი სიკვდილით დასჯა.
2. დაასახელეთ ლენინის დაბადების და გარდაცვალების წლები.

ბილეთი № 3.

1. რუსი ხალხის პირველი სამამულო ომი. ნაპოლეონის შემოჭრა რუსეთში. სახალხო ომი ნაპოლეონის წინააღმდეგ. მხედართმთავარი მ. კუტუზოვი. ბოროდინოს ბრძოლა. მოსკოვის ხანძარი. ნაპოლეონის გაძევება რუსეთიდან.
2. როდის იქნა დამტკიცებული სტალინური კონსტიტუცია.

ბილეთი № 4.

1. დეკაბრისტთა აჯანყება 1825 წელში. დეკაბრისტთა ხელმძღვანელები. დეკაბრისტთა დამარცხება და მათი სიკვდილით დასჯა.
2. როდის დაიწყო კოლმეურნეობების ჩამოყალიბება.

ბილეთი № 5.

1. სევასტოპოლის გმირული თავდაცვა ყირიმის ომის დროს 1855 წელს.
2. რატომ მიისწრაფოდნენ თეთრები ცარიცდის და ასტრახანის დასაპყრობად.

ბილეთი № 6.

1. ბატონყმობის გაუქმება რუსეთში. ალექსანდრე II მანიფესტი ბატონყმობის გაუქმების შესახებ. გლეხთა მღელვარებანი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ.
2. სლავების დასახლების ადგილები აღმოსავლეთ ევროპაში VIII და IX საუკუნეებში.

ბილეთი № 7.

1. მუშათა პირველი კავშირები რუსეთში. მოროზოვის მუშათა გაფიცვა.
2. სლავების საქმიანობა VIII და IX საუკუნეებში.

ბილეთი № 8.

1. ლენინის ბავშვობა და ყრმობა. მისი ჩასვლა პეტერბურგში და მისი მუშაობა იქ.
2. მთავარი ოლეგი.

ბილეთი № 9.


1. 1905 წლ ს რევოლუციის დასაწყისი. რუსეთ-იაპონიის ომი. 9 იანვარი.
2. მთავარი სვიატოსლავი და მისი ლაშქრობები.

ბილეთი № 10.

1. აჯანყება ჯავშოსან „პოტიომკინზე“.
2. ჩინგის ყაენის ლაშქრობა.

ბილეთი № 11.

1. 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება. ბრძოლა პრესნაზე. აჯანყების ჩაქრობა.
2. ბათო ყაენის ლაშქრობა.



ბილეთი № 12.



1. ლენის მუშების დახვეწა.
2. მოსკოვის ამაღლება. ივანე კალიტა.

ბილეთი № 13.

1. პირველი მსოფლიო ომი. გერმანია პირველი მსოფლიო ომის გამჩაღებელი. პირველ მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოები. გერმანიის დამარცხება.
2. დიმიტრი დონელი და კულიკოვოს ბრძოლა.

ბილეთი № 14.

1. თებერვლის რევოლუცია რუსეთში. ამბოხება 1917 წელს პეტროგრადში. მეფე ნიკოლოზ II მთავრობის დამხობა.
2. როდის მოისპო თათარ-მონღოლთა ბატონობა რუსეთში.

ბილეთი № 15.

1. ლენინის ჩამოსვლა პეტროგრადში 1917 წელს. შეიარაღებულ აჯანყებისათვის მზადება.
2. ივანე IV მიერ ყაზანისა და ასტრახანის აღება.

ბილეთი № 16.

1. ზამთრის სასახლის აღება 1917 წლის ოქტომბერში. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება.
2. რისთვის ებრძოდა ივანე IV ბოიარებს.

ბილეთი № 17.

1. საბჭოთა მთავრობის პირველი დეკრეტები.
2. როდის დაიწყო ლევონის ომი.

ბილეთი № 18.

1. უკრაინელი ხალხის ბრძოლა გერმანელ დამპყრობლებთან 1918 წელს.
2. რატომ და რომელ საუკუნეში იბრძოდა ბოგდან ხმელნიცი პოლონელ პანების წინააღმდეგ.

ბილეთი № 19.

1. კოლჩაკის ლაშქრობა. ჩაპაევი. ციმბირელი პარტიზანები. კოლჩაკის განადგურება.
2. როდის მოხდა და ვის წინააღმდეგ იყო მიმართული სტეფანე რაზინის ამბოხება.



ბილეთი № 20.

1. დენიკინის ლაშქრობა. სტალინის მიერ ცარიცინის დაცვა. დენიკინის განადგურება.
2. როდის დაარსდა მოსკოვი.

ბილეთი № 21.

1. იუდენიჩის ვალაშქრება ლენინგრადზე და მისი დამარცხება.
2. ვინ იყო ლომონოსოვი და როდის ცხოვრობდა ის.

ბილეთი № 22.

1. ვრანგელის განადგურება. შეტევა პერეკოპის აღებისათვის.
2. ვინ იყო რადიშჩევი.

ბილეთი № 23.

1. სსრ კავშირის შექმნა.
2. როდის მოხდა საქართველოს შეერთება რუსეთთან.

ბილეთი № 24.

1. სსრ კავშირის დიდი სამამულო ომი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. პიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. გერმანელთა მიერ მოსახლეობის დარბევა. გერმანელთა განადგურება მოსკოვთან.
2. რუსი ხალხის გამირები -- მინინი და პოჟარსკი.

ბილეთი № 25.

1. დიდი სამამულო ომის გმირი ქალაქები.
2. მხედართმთავარი სუვოროვი.

საგამოცდო ბილეთები გეოგრაფიაში

მე-4 კლასისათვის.

ბილეთი № 1.

1. სსრ კავშირის მდებარეობა. სსრ კავშირის სიდიდე.
2. სითბური სარტყლების დასახელება და ჩვენება ნახევარსფეროების რუკაზე.
3. კომპასის აღწერილობა.

ბილეთი № 2.

1. სსრ კავშირის საზღვაო საზღვრები — დასავლეთ, ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეზე.
2. რას ეწოდება ზღვა, სრუტე, ყურე.
3. სსრ კავშირის დიდი კუნძულები და ნახევარკუნძულები.

ბილეთი № 5.

1. სსრ კავშირის მოსახლურე სახელმწიფოები დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეზე.
2. კომპასის გამოყენება.
3. საქართველოს სსრ მდებარეობა.

ბილეთი № 4.

1. სსრ კავშირის მოსახლეობის რაოდენობა.
2. სსრ კავშირის ხალხები, მათი მდგომარეობა მეფის დროს და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.
3. საქართველოს სსრ საზღვრები.

ბილეთი № 5.

1. სსრ კავშირის შემადგენელი მოკავშირე რესპუბლიკები და მათი დედაქალაქები.
2. სსრ კავშირის გაუყინარი ზღვების ჩვენება რუკაზე.
3. საქართველოს სსრ სიდიდე.

ბილეთი № 6.

1. რა და რა ნაწილებად ჰყოფს კავკასიას კავკასიონის ქედი.
2. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა.
3. რუკის მასშტაბის წაკითხვა და განმარტება.

ბილეთი № 7.

1. საქართველოს სსრ ზედაპირი, მთების ორი მთავარი ჯგუფი და მათ შორის მდებარე ვაკეთა მხარე.
2. სსრ კავშირის უმთავრესი მდინარეები.
3. რუკის მასშტაბის მიხედვით ორ წერტილს შორის სწორი ხაზის მიმართულებით მანძილის გაზომვა.

ბილეთი № 8.

1. სსრ კავშირის უმთავრესი დაბლობები.
2. რუკაზე იალბუჯის, მყინვარწვერის, დარიალის ხეობის ჩვენება და დარიალის ხეობის დახასიათება.
3. რუკის პირობითი ნიშნების წაკითხვა და განმარტება.

ბილეთი № 9.

1. სსრ კავშირის უმთავრესი ზეუნები.
2. კავკასიონის სამხრეთი ტოტების დასახლება და მათი ჩვენება რუკაზე.
3. გლობუსზე ეკვატორის ჩვენება, რა და რა ნაწილებად ჰყოფს ეკვატორი დედამიწის სფეროს.

ბილეთი № 10.

1. საქართველოს სამხრეთი მთიანეთი და მისი უმადგენელი უმთავრესი ქედები.
2. სსრ კავშირის უმთავრესი ტბები.
3. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ტროპიკების ჩვენება გლობუსზე.

ბილეთი № 11.

1. სსრ კავშირის უდიდესი მთები და ქედები, უმაღლესი მწვერვალები.
2. საქართველოს ჰავის დახასიათება.
3. ჩრდილოეთის და სამხრეთის პოლუსების ჩვენება გლობუსზე.

ბილეთი № 12.

1. საქართველოს სსრ ვაკეთა მხარე და მისი უმადგენელი უმთავრესი დაბლობი, ვაკე და ზეგანი.
2. ცივი და ზომიერი ჰავის მხარეები სსრ კავშირში.
3. ქვეყნის ყველა ნაწილის დასახელება და ჩვენება რუკაზე.

ბილეთი № 13.

1. საქართველოს სსრ უმთავრესი მდინარეები.
2. ნალექების განაწილება სსრ კავშირში.
3. ყველა თევანის დასახელება და მათი ჩვენება რუკაზე.

ბილეთი № 14.

1. საქართველოს სსრ უმთავრესი ტბები.
2. სსრ კავშირის ნიადაგები, მცენარეები და ცხოველები.
3. ჩრდილოეთისა და სამხრეთის პოლარული წრეების ჩვენება გლობუსზე.

ბილეთი № 15.

1. ჰავა საქართველოს მთიან მხარეში.
2. სსრ კავშირის მთიანი მხარეები — მათი ბუნება და მეურნეობა.
3. საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები, მთიანი მხარეების ათვისების საქმეში.

ბილეთი № 16.

1. მცენარეები და ცხოველები საქართველოს მთიან მხარეში.
2. აჭარის ასსრ, მისი ბუნება, მოსახლეობა და მეურნეობა.
3. სსრ კავშირის თბილჰავიანი მხარეები. ყირიმის ბუნება, მეურნეობა. ყირიმის კურორტები.

ბილეთი № 17.

1. წიაღის სიმდიდრე საქართველოს მთიან მხარეში.
2. სსრ კავშირის უღაბნოება, მათი ბუნება, მოსახლეობა და მეურნეობა.
3. საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები უღაბნოების გამოყენების საქმეში.

ბილეთი № 18.

1. მოსახლეობა და მეურნეობა საქართველოს მთიან მხარეში.
2. სსრ კავშირის მშრალი სტეპები, მათი ბუნება, მოსახლეობა და მეურნეობა.
3. საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები მშრალი სტეპების მეურნეობის განვითარების საქმეში.

ბილეთი № 19.

1. ჰავა საქართველოს ბარში.
2. სსრ კავშირის შავმიწა სტეპები, მათი ბუნება, მოსახლეობა და მეურნეობა.
3. შავმიწა სტეპების მეურნეობის განვითარება სოციალისტური მშენებლობის პირობებში.

ბილეთი № 20.

1. ნიადაგები, მცენარეები და ცხოველები საქართველოს ბარში.
2. სსრ კავშირის შერეული ტყეები, მათი ბუნება, მოსახლეობა და მეურნეობა.
3. შერეული ტყეების მეურნეობის განვითარება სოციალისტური მშენებლობის პირობებში.

ბილეთი № 21.

1. მოსახლეობა და მეურნეობა საქართველოს ბარში.
2. სსრ კავშირის ტაიგა, მისი ბუნება, მოსახლეობა და მეურნეობა.
3. ტაიგის მეურნეობის განვითარება სოციალისტური მშენებლობის პირობებში.

ბილეთი № 22.

1. აფხაზეთის ასსრ, მისი ბუნება, მოსახლეობა და მეურნეობა.
2. სსრ კავშირის ტუნდრები, მათი ბუნება, მოსახლეობა და მეურნეობა.
3. საბჭოთა ხელისუფლებს მიღწევები ტუნდრების ათვისების საქმეში.

ბილეთი № 23.

1. საქართველოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.
2. სსრ კავშირის პოლარული მხარე, მისი ბუნება და სამეურნეო მნიშვნელობა. საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები პოლარული მკაცრი ბუნების ათვისების საქმეში.
3. სსრ კავშირის სამიმოსვლო გზები.

ბილეთი № 24.

1. საქართველოს შარაგზები, რკინიგზები. ნაოსნობა შავ ზღვაზე, მთავარი ნავსადგურები. საჰაერო მიმოსვლა საქართველოში.
2. სსრ კავშირის წიაღის სიმდიდრენი: ნავთობის, ქვანახშირის, რკინის მანდის მთავარი საბადოები.
3. საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები წიაღის სიმდიდრეთა გამოყენების საქმეში.

ბილეთი № 25.

1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, მისი ბუნება, მოსახლეობა და მეურნეობა.
2. საქართველოს კურორტები და აგარაკები.
3. უდიდესი სახელმწიფოების ჩვენებან მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. მათი მდებარეობა, დედაქალაქები. მათი ურთიერთობა სსრ კავშირთან.

საქართველოს სსრ განსახკომის დაწვევითი და საშუალო სკოლების

სამმართველოს უფროსი უმ. ობოლამძე.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1945 წლის 20 იანვარი.

1. ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის ინციტატივა მოსწავლეთა რესპუბლიკური დაუსწრებელი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების შესახებ მოწონებულ იქნას.

2. დაუსწრებელი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების პირობები დამტკიცდეს (თან ერთის).

3. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების განსაკუთრებულ, სამხრეთ ოსეთის საოლქო განათლების განყოფილებას, საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) ფართოდ გააცნონ მოსწავლეთა დაუსწრებელი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების პირობები საშუალო სკოლების ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლებს და უზრუნველყონ ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკისა და გეოგრაფიის წრეებში გაერთიანებულ მოსწავლეთა ჩაბმა დაუსწრებელ სამეცნიერო რესპუბლიკურ კონფერენციაში;

ბ) მიიღონ საჭირო ზომები, რათა ყველა საშუალო სკოლასთან, სადაც დღემდე არ არის ჩამოყალიბებული აკადემიური წრეები ქიმიასა, ფიზიკასა, მათემატიკისა და გეოგრაფიაში უზრუნველყოფილი იქნეს ასეთი წრეების ჩამოყალიბება და მათში მოსწავლეთა ჩაბმა;

გ) დაწესებულ ვადაში, 1945 წლის 15 აპრილამდე, უზრუნველყონ კონფერენციის მონაწილეთა ნაშრომების გადმოგზავნა პიონერთა სასახლის მეცნიერების განყოფილებაში;

დ) გამოჰყონ ადგილებზე მოსწავლეთა დაუსწრებელი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებისათვის კომისიის, რომელსაც დაეკისრება მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების წინასწარი რეცენზირება.

4. დაევალოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლების, კლუბების, ბავშვთა ტექნიკური სადგურების დირექტორებს, სადაც ეს დღემდე არ არის, ამ დაწესებულებებში ჩამოაყალიბონ ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის და გეოგრაფიის წრეები და წრეებს ხელმძღვანელებად შეარჩონ სათანადო სპეციალისტი მასწავლებლები.

5. დაევალოს ბერიას სახელობის ოქტომბრელთა და პიონერთა სასახლეს აწლის 25 იანვრამდე დაიყვანოს ადგილებამდე მოსწავლე-



თა დაუსწრებელი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების პირობებში
 ამასთან, მოსწავლეთა დაუსწრებელი კონფერენციისათვის მზადების
 საქმეში დახმარების გაწევის მიზნით ქალაქებსა და რაიონებში მიაღ-
 ლინოს თავისი მუშაკები.

6. დაევალოს განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამ-
 მართველას შეამოწმოს ადგილებზე მოსწავლეთა სამეცნიერო დაუს-
 წრებელი კონფერენციისათვის მზადების საქმე და სმ მიმართულებით
 სკოლებს აღმოუჩინოს სათანადო დახმარება.

7. მოსწავლეთა დაუსწრებელი სამეცნიერო კონფერენციის შედე-
 გები შეჯამებული იქნეს 1945 წლის აპრილის დამლევისათვის.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი მ. კუპრაძე.

**მოსწავლეთა დაუსწრებელი სამეცნიერო კონფერენციის
 ჩატარების პირობები ფიზიკასა, ქიმიასა, მათემატიკასა და
 გეოგრაფიაში**

ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე
 1945 წლის 20 — იანვრიდან 30 აპრილამდე ატარებს ფიზიკის, ქი-
 მის; მათემატიკისა და გეოგრაფიის აკადემიური წრეების მოსწავ-
 ლეთა რესპუბლიკურ სამეცნიერო დაუსწრებელ კონფერენციას.

კონფერენციის ამოცანა ერთის მხრივ იმაში მდგომარეობს, რომ
 გამოავლინოს განსაკუთრებული ნიჭით და კვლევის უნარით დაჯილ-
 დობებული მოსწავლენი, ხოლო მეორეს მხრივ, გააძლიეროს საერთოდ
 მოსწავლეთა ინტერესი წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობისა და საკე-
 ლევო ხასიათის ექსპერიმენტების მოწყობისადმი და განამტკიცოს
 და გაადრმავოს მიღებული ცოდნა ფიზიკასა, ქიმიასა, მათემატიკასა
 და გეოგრაფიაში.

1. კონფერენციის თემატიკა.

კონფერენციის ყოველი მონაწილე აზრადებს მოხსენებას ან თვით-
 ნაკეთ ხელსაწყოს ფიზიკასა, ქიმიასა, მათემატიკასა და გეოგრაფია-
 ში რომელიმე ძირითად განყოფილების მიხედვით. მოხსენება უნდა
 შეეხებოდეს ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, გეოგრაფიის სასკოლო
 კურსის ან აკადემიური წრის პროგრამიდან აღებულ საკითხს და
 წარმოადგენდეს მის გადრმავებულ შესწავლას (დამხმარე ლიტერა-
 ტურის გამოყენებისა, საკუთარი დაკვირვებისა და ცდების ჩატარების
 საფუძველზე).

შეიძლება, მაგალითად, აღებული იქნას შემდეგი საკითხები,—

ფიზიკიდან

ენერჯის შენახვის კანონი, ნივთიერების აგებულება, რენტგენის სხივები, ელექტრო-მაგნიტური ინდუქცია, ფრენის ფიზიკური საფუძვლები და სხვ.

ქიმიიდან

ალიუმინი მრეწველობაში და სამხედრო საქმეში, მძიმე წყალბადი, ლიტონის წარმოება (ნედლეულის გადამუშავება, მისი გამოყენება), ფერომანგანუმი, შაქრის წარმოება, პეტრე მელიქიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, დიდი რუსი მეცნიერი მენდელეევი და სხვ.

მათემატიკიდან

მათემატიკა არტილერიაში, მწკრივები ელემენტარულ მათემატიკაში, ცვლადი სიდიდის მაქსიმუმი და მინიმუმი, მრუდეების აგება ინვერსიის მეთოდით და სხვ.

გეოგრაფიიდან

საკუთარი მხარის (ოლქის, დაბის ან სოფლის) გეოგრაფიული მიმოხილვა (ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა), საკუთარი მხარის მთამადნეულის ნიმუშების შეგროვება (მოპოვების ადგილი, მნიშვნელობა, გამოყენება), საკუთარი მხარის ტექნიკური კულტურების ნიმუშების შეგროვება, სათანადო განმარტებებით, ნორჩი გეოგრაფის მოგზაურობა მახლობელ გარემოში (ღირსშესანიშნავი ობიექტის დათვალიერება: ტბა, ჩანჩქერი, მწვერვალი, მდინარის ხეობა, მოგზაურობის აღწერა), ფოლკლორული მასალების შეგროვება (რაიონის მთებზე, მდინარეებზე, დასახლებულ ობიექტებზე, ხალხური ლექსები, თქმულებები, ლეგენდები) და სხვ.

მოხსნების ნაცვლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს დასახლებულ მეცნიერებათა, რომელიც ცალკე დებულების დამოკიდებებისათვის ან მოვლენის დემონსტრაციისათვის საჭირო ზუსტად და სუფთათა შესრულებული თვითნაკეთი ხელსაწყო, მაგალითად,—

ფიზიკიდან

ორთქლის მანქანის მომქმედი მოდელი, ბოილ-მარიოტის კანონის შესამოწმებელი ხელსაწყო, რომელიც ტიპის გალვანომეტრი, ტელეგრაფი, პატარა ელექტრო-მოტორი, ჰიდრო ელექტრო-სადგურის მომქმედი მოდელი, პერისკოპი და სხვ.



ავტომატური ხელსაწყო წყალბადის, ნახშირჟანგისა და გოგირდ-წყალბადის მისაღებად, გამარტივებული გაზომეტრი, წყლის გამოსახ-დელი ხელსაწყო, მარტივი იზონატორი, გოგირდმჟავას კამერული ხერხით მისაღები ხელსაწყო, მარილის მჟავას ქარხნის მომქმედი მო-დელი, გოგირდმჟავას ანჰიდრიდის მისაღები ხელსაწყო და სხვ.

2. კონფერენციის ორგანიზაცია.

დაუსწრებელ სამეცნიერო კონფერენციას ხელმძღვანელობს ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის მეცნიე-რების განყოფილება.


კონფერენციაში მონაწილეობის ყველა მსურველი განაცხადს აძ-ლევს საგნის მასწავლებელს, განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს მოსწავლის გვარი, სახელი და მამის სახელი, სკოლა, კლასი, მისამარ-თი და არჩეული თემის დასახელება. მასწავლებელი განიხილავს განა-ცხადს და თუ ეს საჭიროა შეიტანს მასში სათანადო შესწორებას. შერ-ჩეული საკითხის მასწავლებლის მიერ მოწონების შემდეგ განაცხადე-ბი ჩაბარდება რაიონის განათლების განყოფილებას, ეს უკანასკნელი მიღებულ განაცხადებს გზავნის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახ-ლეში (თბილისი, რუსთაველის პრ. № 21, წარწერით „მოსწავლეთა დაუსწრებელი კონფერენციისათვის“).

თემის დამუშავების პროცესში მოსწავლეებს ყოველმხრივ დაეხმა-რება პიონერთა სასახლის მეცნიერების განყოფილება: მიუთითებს დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურაზე, რჩევა დარიგებას მისცემს დამუშავების მეთოდოიკის შესახებ, ცალკე შემთხვევებში მოსწავ-ლეებს გადაუგზავნის აუცილებლად საჭირო მასალებს ან წიგნებს და სხვ.

კონფერენციისათვის დამზადებულ მოხსენებებს ან თვითნაკეთ ხელსაწყოებს განიხილავს განათლების განყოფილების მიერ გამო-ყოფილი რაიონული კომისია, კომისიის მიერ შერჩეული მოხსენება ან ხელსაწყო გადმოეგზავნება პიონერთა და ოქტომბრელთა სასახ-ლის მეცნიერების განყოფილებას.

სასურველია ადგილზე მოეწყოს შერჩეული მოხსენების საჯარო წაკითხვა ავტორის მიერ.

მეცნიერების განყოფილება განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და შეარჩევს მათ შორის საუკეთესო ნაშრომებს. საუკეთესო ნაშრო-



- 500.

5/5.

45-131

შები წაკითხული იქნება სასახლეში მოსწავლეთა საჯარო შეკრებებზე.
ავტორებისათვის წესდება 3 ხარისხის ჯილდო.

გ. კონფერენციის შედეგების განხილვა.

სასახლეში განცხადების გადმოგზავნის უკანასკნელი ვადა არის 25 თებერვალი, ნაშრომების გადმოგზავნის ვადად დაწესებულია 15 აპრილი. 15—30 აპრილამდე განხილული იქნება მოხსენებები და წარმოდგენილი თვითნაკეთი ხელსაწყოები და გამოტანილი იქნება სათანადო დასკვნები.

ლ. ვ. ბერიას სახელობის პიონერთა სასახლე.

პ/შგ. რედაქტორები: ვ. კუპრაძე, მ. ბურჭულაძე, უშ. ობოლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/1-45. შპ 01137. შეკვ. № 265. ტირ. 5800.

საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატა.
თბილისი, ყორესის ქ. № 5.